I აპრილი

დიდმარხვის V კვირა [I] ი

2020 ოთხშაბათი

დან 3,14-20.46-50.91-92.95; დან 3,52-56; იო 8,31-42

თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ იო 8,31

იესო ესაუბრება მოწაფეებს, რომლებმაც კი დაიწყეს მისთვის ყურის დაგდება, თუმცა ჯერ არც მყარად იდგნენ და არც დარწმუნებულნი იყვნენ. რას ნიშნავს, იყო იესოს მოწაფე? ვარ კი? როდესაც ვეჭვობ მის ნათქვამზე, და როდესაც ვცდილობ გონებით გავზომო მისი სიტყვები, ნიშნავს, რომ მას ჩემი მსჯავრის ქარცეცხლში ვატარებ, რომ ჩემთვის იგი ისეთივე მოძღვარია, როგორიც სხვები, მაგრამ ჯერაც არაა უფალი. იესო, არ მეეჭვები! შენა ხარ მამის სიტყვა!

2

2020

აპრილი

დიდმარხვის V კვირა [I] ი

მოხს.: წმ. ფრანცისკე პაოლელი, მეუდ. + 1507

ხუთშაბათი

დაბ 17,3-9; ფს 104; იო 8,51-59

ვინც ჩემს სიტყვას ინახავს, იგი არ იხილავს სიკვდილს უკუნისამდე იო 5,7

უფალო იესო, შენი სიტყვა მომდინარეობს
შენი სპეტაკი და წმიდა გულის
სიყვარულიდან. ის საიმედოა და მყარი,
რომელიც არასოდეს კარგავს თავის ფასს.
ისაა სიმყარე რომელიც სიმტკიცეს და
ღირსებას მატებს ჩემს მორჩილებას!

3 აპრილი

2020 პარასკევი

იერ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

უფალი ჩემთანაა, როგორც მამაცი მებრძოლი იერ 20,11

იერემია წინასწარმეტყველი მეხმარება
დიდი ნდობით ვუმზირო იესოს.
წინასწარმეტყველი ესავს ღვთის
ძლიერებასა და სიყვარულს, ისევე,
როგორც მამისადმი სრული სასოებით
უსწორებს იესო თვალს იუდეველთა
წინააღმდეგობას, რომლებიც ცდილობენ
მის მოხელთებას. ამგვარადვე ვესავ
იესოს, კეთილ მწყემსს, რომელიც მყარად
მაყენებს ყოველ რთულ მდგომარეობაში.

4 აპრილი

დიდმარხვის V კვირა [I] ი

წმ. ისიდორე, ეპ. და ეკლ. მოძ. +636

2020 შაბათი

ეზეკ 37,21-28; ფს: იერ 31,10-13; იო 11,45-56

იქნება ჩემი სავანე მათ შორის ეზეკ 37,27

ეზეკიელ წინასწარმეტყველი გვაუწყებს ღვთის სასოებას, ღვთისა რომელმაც აირჩია ისრაელის ერი როგორც თავისი გამოცხადების ადგილი. მასში სწორედ იესო გამოაცხადებს მამის სიყვარულის სისავსეს, როდესაც შესწირავს თავის სიცოცხლეს რათა შეკრიბოს ღვთის დაფანტული შვილები. მეც შევუერთდები მის ეკლესიას, ესოდენ ძვირფასი რომაა მის თვალში.

5 აპრილი 2020

ბზობისა და უფლის ვნების კვირადღე,
«ა», [II], წ

კვირა

მთ 21,1-11; ეს 50,4-7; ფს 21; ფილიპ 2,6-11; ვნება: მთ 26,14 - 27,66

კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა მთ 21,9

დღეს წახვალ ნაკურთხი ბზის ტოტის ასაღებად, რათა იესოს მეფობა იქადაგო. ამ ტოტს სახლში წაიღებ; ის მთელი წლის მანძილზე შეგახსენებს, რომ შენი მეფე, შენი გულისა და შენს ფიქრთა მეფე, არის და კვლავაც იქნება იგი. ეს კი ნიშნავს, რომ იფიქრებ მუდამ ისე, როგორც მან ასწავლა თავის ეკლესიას, მისივე ნებით რომ იქცა წმიდა და ერთგული სიყვარულით მდიდარ ჭეშმარიტებათა მასწავლებლად და დამცველად.

6 აპრილი

დიდი ორშაბათი [II] ი

2020 ორშაბათი

ეს Ч2,1-7; ფს 26; იო 12,1-11

დაანებე თავი, მან ჩემი დამარხვის დღისთვის გადაინახა იგი

იო 12,7

იესო პასუხობს იუდას კრიტიკას. ეს მისი მოწაფეა, რომელსაც ჯერაც საკუთარი აზრები უფრო უყვარს, ვიდრე თავისი უფალი. მარიამი დუმს, და ეს დუმილი განაგრძობს მისი სიყვარულის ქმედებას. ეს იესოსთვის დიდი ნუგეშია, რომელიც ანაზღაურებს მისი სიკვდილის მოსურნე უარისგან მომდინარე ტანჯვას.

7 აპრილი

2020

დიდი სამშაბათი [II] ი

სამშაბათი

ეს 49,1-6; ფს 70; იო 13,21-33.36-38

სიცოცხლეს გავწირავ შენთვის იო 13,37

პეტრეს სურს კარგად გამოჩნდეს. მას ჰგონია და პირდება იმას, რისი უნარიც არ შესწევს. რაოდენ მშვენიერი და ნაყოფიერი იქნებოდა ამის ნაცვლად თავმდაბლად რომ ეთხოვა იესოსათვის, ერთგულების ნიჭი!

8

2020

აპრილი

დიდი ოთხშაბათი, [II], ი

წმიდა მირონის კურთხევის წირვა თბილისში,
მარიამის აღყვანების საკათედრო ტაძარში

ოთხშაბათი

ეს 50,4-9; ფს 68; მთ 26,14-25

უფალი ღმერთი შემეწევა მე ეს 50,7

წინასწარმეტყველი ათქმევინებს
იაჰვეს მსახურს ამ უტყუარ სიტყვებს.
ამ უტყუარობას ასხამს ხორცს იესო,
როდესაც ამზადებს პასექს და იწყებს
მის აღსრულებას მოწაფეებთან ერთად.
ამათ შორისაა მისი გამცემიც. იესო
დარწმუნებულია მამის სიახლოვესა და
სიყვარულში, ამიტომ თვით ღალატზეც
ძალუძს თავისუფლად საუბარი.

9 აპრილი

დიდი ხუთშაბათი, [ს], თ

2020 ხუთშაბათი

გამ 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15
(უფლის სერობის წირვა)

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ბოლომდე შეიყვარა ისინი იო 13,1

მახარებელი ყველაზე ლამაზ საიდუმლოებს გვიმხელს. როგორ განიცადა იესომ საიდუმლო სერობა, რომელზეც იცოდა, რომ ბოლო იქნებოდა? ყოველივეს ღებულობდა როგორც სიყვარულის ნიჭს, რომელსაც ვერაფერი ბინდავდა, რაც მის ირგვლივ და მის წინააღმდეგ ხდებოდა. იესოს სიყვარულს არ აქვს საზღვრები, ვერაფერი ეღობება მას წინ, არც კნინდება და არც ფერხდება. მისი ქმედებები და სიტყვები, და ისიც, რასაც გუმანით გრძნობდა, სიყვარულის ნიჭია.

10 აპრილი

2020 პარასკევი

წითელი პარასკევი, [ს], წ

ეს 52,13 - 53,12; ფს 30; ებრ 4,14-16; 5,7-9; იო 18,1 - 19,42

მძიმე მარხვის დღე. უფლის ჯვარზე სიკვდილის გასახსენებლად ამ დღის 15.00სთ-ზე ყველამ, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ, გამოყონ მდუმრებისა და ლოცვის დრო. შესაწირი წმ. მიწისთვის.

ვის ეძებთ? იო 18,4

იესო ეძლევა მათ, ვინც მას შესაპრყობად ეძებდა. არ ეშინია. უწყის წერილებიდან, რომ მამის განგებაა ცოდვისაგან ადამიანთა ამგვარი ხსნა.

გმადლობთ, უფალო იესო, და თაყვანსა გცემთ. ჩვენც გეძებთ შენ, რათა გვიყვარდე და მუდამ შენთან ვიყოთ.

11

2020

აპრილი

დიდი შაბათი [ს]

საპასექო ღამისთევა, დდ, [ს], თ

შაბათი

შენს ხელთაა ჩემი სიცოცხლე ფს 15

ფსალმუნი, რომელიც დღევანდელ ლოცვაში გვეძლევა, გვეხმარება იესოსთან ერთად ვიყოთ, როცა ეუბნება მამას: „შენს ხელთ მომიბარებია სული ჩემი“. ამ დღის მდუმარებაც გვეხმარება ისევე განვიცადოთ, როგორც განიცადეს მარიამმა და დედაკაცებმა, მოწაფეებმა, რომელთაც ჯერაც არ შესწევდათ უნარი ჩასწვდომოდნენ თავიანთ უფალსა და მოძღვარს.

12 აპრილი 2020

პასექი უფლის ბრწყინვალე აღდგომისა,
«ა», დდ, [ს], თ

კვირა

საქმ 10,34.37-43; ფს 117; კოლ 3,1-4 ან, 1კორ 5,6-8;
იო 20,1-9 ან, ლკ 24,13-35

ჭეშმარიტად აღდგა უფალი ლკ 24,34

ამგვარად დაუმოწმეს თერთმეტმა ორ ემაუსელ მოწაფეს, რომლებიც ღამის წყვდიადში დაბრუნდნენ იმავე ამბის სათქმელად. იმათთვისაც და ამათთვისაც მოულოდნელად წამოადგა თავს აღმდგარი იესო, ისევე, როგორც მოულოდნელად იხილეს იგი ქარიშხლიან ტბაზე მოარული. ჩვენ არა გვჭირდება მისი ნახვა: მათი სიხარული ხომ უკვე ჩვენს გულშია! ალელუია!

13 2020

აპრილი

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

ორშაბათი

საქმ 2,14.22-33; ფს 15; მთ 28,8-15

ღმერთმა აღადგინა იგი, რისი მოწმენიც ჩვენ ყველანი ვართ საქმ 2,32

დღეს ამ „ყველა“-ში მეცა ვარ და შენც. დიდი სიხარულით მავსებს ცოცხალი იესოს მოწმედ ყოფნა. და რაგვარად ვარ? აღმდგარი იესოს მოწმე ვარ, როდესაც არაფერზე ვჩივი, როდესაც მშვიდად ვარ საგანგაშო ამბების წინაშე, როდესაც ავადმყოფობა არ მაგდებს სასოწარკვეთაში, როდესაც კვლავაც მიყვარს ის, ვინც ჩემი მტრის როლს ასრულებს.

14 2020

აპრილი

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

სამშაბათი

საქმ 2,36-41; ფს 32; იო 20,11-18

მოექეცით საქმ 2,38

ამჯერად პეტრეა რომ ამგვარად პასუხობს მათ, ვინც მოისმინა ჯვარცმული იესოს აღდგომის ამბავი და კითხულობს: „როგორ მოვიქცეთ?“. მოციქული პასუხობს დაჯერებულად. მათ სჭირდებათ მიტევება, ხოლო მიტევება შემოდის, როდესაც სინანულია და იესოსადმი, ნამდვილი მაცხოვრისადმი სრული მიმხრობა.

15 2020

აპრილი

ოთხშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

ოთხშაბათი

საქმ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

დარჩი ჩვენთან, ვინაიდან დღე უკვე მიიწურა ლკ 24,29

ეს სიტყვა იქცა ჩვენს ერთ-ერთ ყველაზე
საყვარელ ლოცვად. იმ ორმა ფერაც
არ იცოდა, ვის ეპატიჟებოდნენ. ჩვენ კი
ვიცით და ამიტომ არ დავკმაყოფილდებით
სიტყვებით „დარჩი ჩვენთან“, არამედ
მზადა ვართ დავაძალოთ: შენთან
დავრჩებით, შენ გამოგყვებით!

16 აპრილი

2020

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

ხუთშაბათი

საქმ 3,11-26; ფს 8; ლკ 24,35-48

მშვიდობა თქვენდა! ლკ 24,36

ამას დაგვპირდა საიდუმლო სერობაზე: „ჩემს მშვიდობას გაძლევთ თქვენ“. ახლა კი ნამდვილად იძლევა: იესოს მშვიდობა მისი მეგობრების განკარგულებაშია. მისი მშვიდობა მის სიკეთეთა გაზიარებაა, სიკეთეთა, რომელიცაა მისი ერთობა მამასთან, მისი მისია წუთისოფელში და მისი სული, რომელიც აუცილებელია დაკისრებული დავალების შესასრულებლად.

17 აპრილი

2020

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

პარასკევი

საქმ 4,1-12; ფს 117; იო 21,1-14

წითელი პარასკევი მართლმადიდებელ ეკლესიაში

სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა საქმ 4,12

ძლიერი მამაცობით ლაპარაკობს პეტრე სინედრიონის წინაშე, რომელიცაა უზენაესი საბჭო და რომელმაც გამოუტანა იესოს სასიკვდილო განაჩენი და გადასცა იგი პილატეს ჯვარზე საცმელად. ჩვენ მდიდარნი ვართ უეჭველობით. „სხვა არავისში“ – სხვა რელიგიებს როდი დავუწყებ ძებნას. თუკი შევისწავლი მათ, მხოლოდ იმისთვის, რომ ვიცოდე, უკეთ როგორ ვაუწყო მათ ის ერთადერთი სახელი, რომელსაც შეუძლია ხსნა!

18 აპრილი 2020

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

შაბათი

საქმ 4,13-21; ფს 117; მარ 16,9-15

დიდი შაბათი მართლმადიდებელ ეკლესიაში

მოედეთ მთელს სოფელს და უქადაგეთ სახარება ყოველ ქმნილებას მარ 16,15

საჭირო გახდა ამის ბრძანება, რაკი მოწაფენი, როგორც წესიერი ებრაელებისგან იყო მოსალოდნელი, არასოდეს გადააბიჯებდნენ წარმართთა სახლების ზღურბლს. იესო გზავნის მათ ყველასთან, რათა ყველა შეიყვარონ, და ყველას – სიტყვითა და საქმით – მამის სიყვარული მიაწოდონ. დღესაც იმეორებს: წადით ყველასთან, ყველა სხვა რელიგიის ხალხთან და იმათთანაც, ვინც არც ერთ რელიგიას არ მიჰყვება, რადგან მწადია სიცოცხლე ვაჩუქო მათაც!

19 აპრილი 2020

პასექის II კვირადღე, (ღმრთაებრივი
გულმოწყალებისა) «ა», [ს], თ

კვირა

საქმ 2,42-47; ფს 117; 1პეტ 1,3-9; იო 20,19-31

ივლიტის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

აღდგომა მართლმადიდებელ ეკლესიაში

როგორც მამამ მომავლინა მე, მეც მიგავლენთ თქვენ იო 20,21

ღვთის გულმოწყალებით სავსე ქმედება ადამიანთადმი იესოს სიკვდილით როდი დასრულდა, მეტიც, მისით მიიღო ახალი ბიძგი. ახლა უკვე ყველა მოციქულს ძალუძს სიცოცხლის მინიჭება, ძალუძთ მამაზე საუბარი, ძალუძთ მოუხმონ იესოს სახელს ადამიანთა უბადრუკობებზე. ძალუძთ, მეტიც, მართებთ გაანათლონ სამყარო იმ ნათლით, რომელიც მიუღიათ.

20 აპრილი

2020 ორშაბათი

საქმ 4,23-31; ფს 2; იო 3,1-8

მიცვალებულთა დღე მართლმადიდებელ ეკლესიაში

ზეგარდმო გმართებთ შობა იო 3,7

უცნაურ სიტყვას ეუბნება იესო ნიკოდემოსს, და მეუბნება მეც. შობა, ნიშნავს სიცოცხლის მიღებას: „გმართებთ“ თქვენი სიცოცხლის მიღება არა იმ გრძნობებიდან, რომლებიც ბატონობენ მიწაზე, თქვენი ინსტინქტებიდან, არამედ „მაღლიდან“, ანუ მამის გულიდან. ეს უნდა იყოს ყოველი თქვენი ნააზრევის, ყოველი ქმედების, ყოველი შინაგანი მოძრაობის წყარო.

21 აპრილი

2020

პასექის II კვირა [II] თ

წმ. ანსელმი, ეპ. და ეკლ. მოძღ. +1109

სამშაბათი

საქმ 4,32-37; ფს 92; იო 3,7-15

მორწმუნეთა სიმრავლეს ერთი გული და სული ჰქონდა საქმ 4,32

როგორ მოხდა ესოდენ ძირეული ცვლილება? ამქვეყნად შეუძლებელია და ეს თავად ებრაული სამყაროსთვისაც ხომ არნახული სიახლე იყო. იესოს მორწმუნენი ღებულობდნენ სულიწმიდას, და სულიწმიდაა თანაზიარებისა და ერთობის წყარო. იგია საიდუმლო გასაღები სამყაროს შესაცვლელად!

22 აპრილი

პასექის II კვირა [II] თ

2020 ოთხშაბათი

საქმ 5,17-26; ფს 33; იო 3,16-21

ჭეშმარიტების მოქმედი ნათლისკენ მიდის იო 3,21

იესოს ნათქვამი ჰქონდა, რომ ბოროტის მოქმედი ბრალდების შიშით გაურბის ნათელს. ჩემი ვარაუდით უნდა განეგრძო ასე: „სიკეთის მოქმედს“ არ ეშინია ნათლისო. არ ამბობს „სიკეთის მოქმედს“, არამედ „ჭეშმარიტების მოქმედს“. სიკეთის ქმედება შესაძლოა გაუგებრობის მიზეზი გახდეს. ჭეშმარიტების მოქმედი კი ისაა, ვინც თავისი საქმეებით აცხადებს მამის სიყვარულს!

23 აპრილი

პასექის II კვირა [II] თ

წმ. გიორგი, წამებული +303
წმ. ადალბერტი, ეპ. და წამ. +997

2020 ხუთშაბათი

საქმ 5,27-33; ფს 33; იო 3,31-36

მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+1943)

იგი ღმერთმა
წინამძღვრად და მაცხოვრად
აღამაღლა თავისი მარჯვენით საქმ 5,31

იესოზე საუბარი ყოველთვის ნიჭია, ნიჭია მოლაპარაკისათვისაც და მსმენელისთვისაც. ვინც მასზე საუბრობს, ღებულობს მადლს მასზე ფიქრიდან, ხოლო მსმენელი ამაღლდება ღვთის საიდუმლოთა ტკბობისათვის. თქვა, რომ იესო მამის მარჯვნივაა, ნიშნავს იმას, რომ ისიც ფლობს სავსე და მაცოცხლებელი სიყვარულის სრულ ძალაუფლებას. ამის თქმა კი უკვე მისი განცდაცაა!

24 აპრილი

2020

პასექის II კვირა [II] თ

წმ. ფიდელ სიგმარინგენელი, ხუც. წამ. +1622

პარასკევი

საქმ 5,34-42; ფს 26; იო 6,1-15

სცემეს მოციქულებს და უბრძანეს, რომ აღარ ელაპარაკათ იესოს სახელით

საქმ 5,40

როგორც იესო გამოლტეს უმიზეზოდ – თავად პილატემ განაცხადა, რომ ვერ ხედავდა მასში დანაშაულს –, ასევე მოციქულნიც. სინედრიონი ვერ ასახელებს მათ ბრალს და მაინც აშოლტვინებს. ისინი არ ჩივიან, მეტიც, სიხარულით მიდიან იქიდან: იესოს სახელისათვის დაიტანჯნენ!

25 აპრილი

2020

წმ. მარკოზ მახარებელი, დ, [ს], წ

შაბათი

1პეტ 5,5-14; ფს 88; მარ 16,15-20

მშვიდობა თქვენდა ყველას, ვინც ქრისტეში ხართ 1პეტ 5,14

როდესაც პეტრე სწერდა საკრებულოებს, რომლებისთვისაც სახარება ჰქონდა ნაუწყები გალაციაში, მარკოზი მასთან ერთად იყო რომში, და ანუგეშებდა მას. მოქციქული მას მოიხსენიებს სიტყვებით: „ჩემი შვილი“. დღეს მისი დღესასწაულია; მან სახარება გვაჩუქა, რომელიც დაწერა, რათა დაგვხმარებოდა იესოში „ღვთის ძე“ ამოგვეცნო. ამ რწმენაში გვსურს დავრჩეთ მტკიცენი, და ამგვარად დავიმკვიდრებთ მშვიდობასა და ხსნას.

26 აპრილი

2020

პასექის III კვირადღე, «ა», [III], თ

კვირა

საქმ 2,14.22-33; ფს 15; 1პეტ 1,17-21; ლკ 24,13-35

თვალი აეხილათ და იცნეს იგი ლკ 24,31

მანამდე ვინმე მგზავრი ეგონათ. ახლა კი, როცა სერიოზულად მიუდგნენ წერილებს კმარა პურის გატეხვის მცირე ჟესტიც და გამობრწყინდება დიადი სიახლე: იესო აღდგა და აქაა! თვალები იყურებიან და კი ვერ ხედავენ, თითქოს დახუჭული ჰქონდეთ. ისმინე სიტყვა და ყურადღებით იყავ მცირე ნიშნებზე: შენც აგეხილება თვალი.

27 აპრილი

2020

პასექის III კვირა [III] თ

ორშაბათი

საქმ 6,8-15; ფს 118; იო 6,22-29

ხედავდნენ მის სახეს,
როგორც ანგელოზის სახეს საქმ 6,15

სტეფანეს სახეა, რომ ნათელს მოუცავს,
როცა ბრალს სდებენ და ცილს სწამებენ
იესოსადმი მისი სიყვარულის გამო. იგი
წყენითა და შურისძიებით როდი პასუხობს,
მას კვლავაც უყვარს თავისი უფალი.
და მისი სახეც ჭეშმარიტებას მოწმობს!

28 2020

აპრილი

პასექის III კვირა [III] თ

წმ. ლუი მარი გრინიონ დე მონფორტი, ხუც. +1716; / წმ. პეტრე შანელი, ხუც. და წამ. +1841; / წმ. ჯანა ბერეტა მოლა +1962

სამშაბათი

საქმ 7,51 – 8,1; ფს 30; იო 6,30–35

მე ვარ პური სიცოცხლისა იო 6,35

უფალმა სულ ცოტა ხნით ადრე უთხრა,
არ ეძიათ წარმავალი პური, არამედ
საუკუნო სიცოცხლის პური. ახლა ამბობს
რომელია ეს ესოდენ მნიშვნელოვანი,
მეტიც აუცილებელი პური: ის თავადაა.
ჩვენ შევჭამთ მას, ანუ, შემოვუშვებთ
ჩვენში, დავანებებთ, გარდაგვქმნას თავის
თავად. შევჭამთ ევქარისტიულ პურს
და გამოვართმევთ იესოს ყველაფერს:
სიტყვებს, მოძღვრებას, გონიერებითა და
სიყვარულით მოქმედების გზებს.

29 აპრილი

2020

წმ. ეკატერინე სიენელი, ქალწ. და ეკლ.
მოძღვ. ევროპის მფარველი, +1380, დ, თ

ოთხშაბათი

1იო 1,5 - 2,2; ფს 102; მთ 11,25-30

იტვირთეთ ჩემი უღელი მთ 11,29

იტვირთო ვინმეს უღელი, ნიშნავს, დაჰყვე მას და გაისარჯო მისთვის. დღეს გვეხმარება წმიდა ეკატერინეს ნიმუში. მან ნამდვილად სიყრმიდანვე იტვირთა იესოს უღელი. მისი ხანმოკლე ცხოვრება მთლიანად ეკუთვნოდა უფალს, არად აგდებდა მათ, ვინც კრიტიკით ცდილობდა მისთვის ხელის შეშლას და ყოველგვარ შრომასაც არ ეპუებოდა და იმედგაცრუებებს ძლევდა. უფალზე იყო შეყვარებული!

30 2020

აპრილი

პასექის III კვირა [III] თ

(17.IV) წმ. ეფრემ დიდი მაწყვერელი, IXს;
წმ. პიუს V, პაპი, +1572

ხუთშაბათი

საქმ 8,26-40; ფს 65; იო 6,44-51

მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს იო 6,44

ვის? ვინც მოდის იესოსთან მამის მორჩილებით. ის ღებულობს საუკუნო სიცოცხლეს, ახალ სიცოცხლეს, ღმერთთან რომ გვაკავშირებს. იესოსთან მოსვლა – ეს ნაბიჯი გადადგა ეთიოპიის დედოფლის მოხელემ, როდესაც დაუჯერა ფილიპეს, იესოზე რომ ესაუბრებოდა, და მოინათლა. მისი ცხოვრება აღივსო სიხარულით: მან შეაბიჯა აღდგომაში!